შრომის სამართლის ბიულეტენი

EUROPEAN TIME

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

დაგვისვით შეკითხვები
european.time.geo@gmail.com
ekakardava2014@gmail.com

შრომის სამართალი

დეკემბერი, 2024

ასოციაცია „ევროპის დროით“ ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით გთავაზობთ ყოველთვიურ შრომის ბიულეტენს

ეკატერინე ქარდავა, სამართლის დოქტორი, ასოციაციის „ევროპის დროით“ თავმჯდომარე

კითხვა-პასუხი:

აქვს თუ არა უფლება დამსაქმებელს დაქვითოს ანაზღაურება თუ შრომა არ არის მოცდენილი დასაქმებულის ბრალეულობით?

საქართველოს შრომის კოდექსის 42-ე მუხლის თანახმად,

- თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **დასაქმებულს** დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დროს **შრომის ანაზღაურება სრულად მიეცემა.**
- **დასაქმებულის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენა არ ანაზღაურდება.**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს შემდეგი განმარტება: თუ დასაქმებულის ბრალეულობა არ არსებობს, მას უნდა მიეცეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ანაზღაურება ყოველთვიურად დადგენილ დროს. ანაზღაურების გაცემის დრო და ანაზღაურების ოდენობა კი შრომის კოდექსის იმპერატიული დანაწესებისა და დაცვის საგანია (14.1.“ვ“, 41(2), 41(3), 41(4) და სხვა).

საქართველოში დამდგარი მძიმე პერიოდის გათვალისწინებით, ზოგიერთმა დაწესებულებამ/ორგანიზაციამ/უნივერსიტეტმა/სკოლამ/ბიზნესმა გამოაცხადა შრომის

პროცესის შეჩერება. იყო შემთხვევები, როცა თავად დამსაქმებლებმა (ადმინისტრაციამ/მენეჯმენტმა) აცნობეს დასაქმებულებს შრომის პროცესის შეჩერების თაობაზე. **ლეგიტიმურად გაჩნდა შეკითხვა:** *შეჩერებულ პერიოდში სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობისთვის დამსაქმებელს შეუძლია თუ არა დაუქვითოს ანაზღაურება დასაქმებულს და გადაუხადოს მხოლოდ მას შემდეგ, როცა აღსდგება შრომის პროცესი და შესრულდება ვალდებულება?* **დამსაქმებელს არ აქვს უფლება (თუნდაც თავისი არაბრალეული ქმედების შედეგად), შრომის პროცესის შეჩერებისთვის, სუსტი მხარის საზიანოდ განმარტოს შრომის კანონდებლობა, გამოიყენოს შეჩერება დასაქმებულის მდგომარეობის გაუარესებისთვის და გადაუვადოს ან არ გასცეს ანაზღაურება.**

ამ საკითხის გააზრება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ შრომის კანონმდებლობის სწორი გამოყენებისა და სუსტი მხარის/დასაქმებულის საზიანოდ დამსაქმებლის ძალაუფლების პრევენციისთვის, არამედ, იმ პოლიტიკის მდგრადობისა და ერთგულებისთვის, რომელსაც ვუწოდებთ ევროპასთან ინტეგრაციას.

მოგვწერეთ, გვკითხეთ
european.time.geo@gmail.com
ekakardava2014@gmail.com
eka_kardava@yahoo.com